

საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას
მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი
მიზეზები და გადაჭრის გზები

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის
საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელი მარია
ჭალაიძე

2018-2019
სასწავლო წელი

სარჩევი

გვერდი

1.	შესავალი -----	3
2.	ნაშრომის სტრუქტურა -----	4
3.	პრობლემა და საკვლევო საკითხი -----	5
4.	კვლევის მნიშვნელობა -----	6
5.	ლიტერატურის მიმოხილვა-----	7
6.	კვლევის გეგმა-----	10
7.	კვლევის მიზანი და ამოცანები-----	11
8.	მუშაობის აღწერა და მონაცემთა შეგროვების ----- მეთოდები	14
9.	ქმედების/ინტერვენციის განხორციელება-----	16
10.	ინტერვენციის შედეგები-----	22
11.	დასკვნა და რეკომენ -----	23
12.	ბიბლიოგრაფია-----	24
13.	დანართი-----	25

შესავალი

თანამედროვე განათლების სისტემა მუდმივად განიცდის ცვლილებებს, პროგრესული საზოგადოება კი სულ უფრო და უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს მას. სკოლების მასწავლებლები სწავლა-სწავლების მეთოდებით, მიდგომებითა და რესურსებით უნდა პასუხობდნენ მის მიმართ წამოყენებულ ახალ გამოწვევებს. პრაქტიკული კვლევა სკოლებში წამოჭრილი პრობლემებისა და დაბრკოლებების გადაჭრის ეფექტური საშუალებაა. იგი გულისხმობს მასწავლებლის მიერ სწავლა-სწავლებასა და სასკოლო სიტუაციასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას.

ეს ნაშრომი არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლაში. კვლევა განხორციელდა ამავე სკოლის მასწავლებლის მაია ჭალაიძის მიერ.

კვლევაში განხილულია საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას მოსწავლეთა დაბალი მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და მათი გადაჭრის გზები პოზიტიური სასწავლო გარემოსა და თანამშრომლობითი სწავლების გამოყენებით.

ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომში განხილულია

- ✚ მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში;
- ✚ საკვლევი პრობლემა და საკვლევი საკითხი;
- ✚ პრობლემის გამომწვევი შესაძლო მიზეზები;
- ✚ ლიტერატურის მიმოხილვა;
- ✚ მუშაობის აღწერა და მონაცემთა შეგროვების მეთოდები;
- ✚ წარმოდგენილია მონაცემთა ანალიზი;
- ✚ ქმედება/ ინტერვენცია;
- ✚ ქმედება/ინტერვენციის შედეგები;
- ✚ დასკვნები.

პრობლემა და საკვლევი საკითხი

მოსწავლის სასწავლო წარმატებაზე მოქმედებს უამრავი ფაქტორი. მოტივაცია შესაძლოა იყოს ის წარმართველი ძალა, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს იმას, თუ მოსწავლე რამდენად აქტიურად და ნაყოფიერად არის ჩართული სასწავლო პროცესში და რა შედეგებს აღწევს იგი. როცა სწავლის პროცესი მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, მაშინ სწავლა ხდება ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების საშუალება. მასწავლებლის დანიშნულებაც სწორედ ისაა, რომ სწავლა მოსწავლეთა საჭიროებებს მოარგოს და სახალისო პროცესად აქციოს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგანმანათლებლო და განმავითარებელი პოტენციალი უსაზღვროა. იგი უდიდეს როლს თამაშობს პიროვნების აზროვნების და ხასიათის ჩამოყალიბებაში. ამიტომაც დამაფიქრებელია, ასეთი სტატისტიკა, რომ ბოლო რვა წლის განმავლობაში სკოლა დაამთავრა 38-მდე მოსწავლემ, აქედან საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე არცერთმა მოსწავლემ არ ისურვა გამოცდის ჩაბარება:

საგრძობლად დაბალია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც არჩევით საგნად აირჩიეს ზემოთ ჩამოთვლილი დისციპლინები.

გამოიკვეთა პრობლემა:

- იკლო ამ საგნებისადმი ინტერესმა მოსწავლეებში; (გამოვლინდა კოლეგებთან დიალოგით)
- ეროვნულ გამოცდაზე არცერთი მოსწავლე არ აბარებს აღნიშნულ საგანს; (გამოცდების ეროვნული ცენტრის სტატისტიკით, ჩვენი სკოლის მონაცემებით)
- საატესტატო გამოცდებში მიღებული ქულები საშუალო დონისაა. (ჩვენი სკოლის მონაცემებით).

ჩვენი პრაქტიკიდან გამომდინარე, ასაკის მატებასთან ერთად, საბაზო საფეხურზე ხდება მოსწავლეთა ნაკლები დაინტერესება და შესაბამისად დაბალია აკადემიური მოსწრების დონე საბუნებისმეტყველო საგნებში. ამიტომაც, ჩვენი აზრით,

ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი პრობლემა დღევანდელ სკოლაში, არის სწავლისადმი დაბალი მოტივაცია, განსაკუთრებით ზემოთ ჩამოთვლილ საგნებში.

კვლევის აქტუალურობას დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტიც, რომ მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროექტის, რომელიც ხორციელდება ათასწლეულის გამოწვევის ფონდის მიერ, მთავარი სამიზნე სწორედ საბუნებისმეტყველო საგნის პედაგოგები არიან. ესე იგი პრობლემა მასშტაბურია და ის მხოლოდ ჩვენს წინაშე არ დგას.

კვლევის მნიშვნელობა

- კვლევის ფარგლებში გამოიკვეთება ის ფაქტორები, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა მოსწავლის მოტივაციაზე და შესაბამისად მოსწავლის აკადემიურ მოსწრებაზე.
- კვლევის შედეგები მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ გავიგოთ რა გავლენას ახდენს თანამშრომლობითი სწავლება (პროექტები, სახალისო - შემეცნებითი ღონისძიებები, ჯგუფური სამუშაოები) და სასწავლო რესურსის გამოყენება მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართულობასა და მოტივაციის გაზრდაზე.
- თანამშრომლობითი სწავლების რომელი სტრატეგია თუ მეთოდი იქნება უფრო ეფექტური ჩვენი საგნებისა და ჩვენი კლასების შემთხვევაში.
- კვლევის შედეგები გათვალისწინებული იქნება ცალკეული საგნების სწავლებისას, დაიგეგმება შესაბამისი ცვლილებები.
- პრაქტიკული თვალსაზრისით, ნაშრომი მნიშვნელოვანია იმიტაც, რომ საქართველოში 2015 წლიდან ძალაში შევიდა „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“. სქემის მიხედვით, სტატუსის ასამაღლებელი აქტივობები სავალდებულოს ხდის ისეთი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას, როგორცაა თანამშრომლობითი სწავლება (მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი; მეორე ნაწილი; 2015)

ლიტერატურის მიმოხილვა

სიტყვა მოტივირება მიღებულია ლათინური სიტყვიდან „motus” და მოძრაობას ნიშნავს. ზოგადად, რაც უფრო ნათლად არის მიზანი ჩამოყალიბებული, მით უფრო ადვილია საკუთარი თავის „ამოძრავება“ და მიზნის მიღწევა.

“სწავლება ბევრს ნიშნავს, წახალისება კი – ყველაფერს”.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

“სინამდვილეში დიდი ადამიანი გაგრძნობინებს, რომ შენც შეიძლება გახდე დიდი”.

მარკ ტვენი

მოტივაცია ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოკვლეული ფაქტორია, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. მრავალი თეორია ცდილობს, ახსნას მოტივაციის გამომწვევი მიზეზები და გააანალიზოს ის სხვადასხვა ფაქტორთან მიმართებაში. მოტივაციის გამომწვევი ერთი მიზეზის დადგენის შეუძლებლობა ადამიანთა ბუნების მრავალგვარობაშია. კლასში მოსწავლეები სოციალური და კულტურული კონტექსტით, გამოცდილებებით, რწმენით, საჭიროებებით, უნარებით განსხვავდებიან. ეს კი განსაზღვრავს იმ ფაქტორების მრავალსახეობას, რაც მათი მოტივაციის ამალეებაზე მოქმედებს. მრავალი კვლევით დადასტურებულია, რომ მხოლოდ მაღალი მოტივაციის პირობებშია შესაძლებელი მოსწავლის მიერ მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევა. შესაბამისად, კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა შეიძლება იყოს ის, რაც მოსწავლეს სწავლის მოტივაციას გაუჩენს. უამრავი დისციპლინათშორისი თეორია ცდილობს, ახსნას ის ფაქტორები, რომლებიც მოტივაციის ზრდას იწვევს. აქ რამდენიმე მათგანს შევხებით.

ცოტოდენი თეორია

ატრიბუციის თეორია ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოდგენებზე, რომლებიც ადამიანებს მაშინ უჩნდებათ, როცა ამა თუ იმ მოვლენას, შედეგს რაიმე კონკრეტულ ფენომენს უკავშირებენ. მაგალითად, გამოცდის ჩაბარება დაკავშირებულია გამართლებასთან, მოსწავლის დაბალი აკადემიური მიღწევები – სიზარმაცესთან... როდესაც ერთი მოსწავლე მეორე მოსწავლის მაღალ აკადემიურ მოსწრებას მის დიდ მცდელობას უკავშირებს, შესაძლოა, ამან მის მოტივაციაზე დადებითად იმოქმედოს. ყველა შემთხვევაში, ეს მოსწავლეებში აღძრავს გარკვეულ ემოციას, რამაც შესაძლოა იმოქმედოს მათ მოტივაციაზე. აკადემიურ კონტექსტში მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწორად წარმართოს მოსწავლის ემოცია, მისი მიღწევა დაუკავშიროს არა იღბალს, არამედ მცდელობას, დაბალი აკადემიური მიღწევა კი კონკრეტული უნარების უქონლობით არ ახსნას.

მოლოდინების თეორიის მიხედვით, წარმატების მიღწევის მოტივაციას, დიდწილად, საზოგადოების მხრიდან წარმატების მოლოდინი განსაზღვრავს. სასწავლო პროცესში ის სტუდენტები, რომელთა მიმართაც არსებობს მაღალი აკადემიური მიღწევების მოლოდინი, ძირითადად, აღწევენ კიდევ წარმატებას, იმ სტუდენტებთან შედარებით, ვის მიმართაც ასეთი მოლოდინი არ არსებობს.

სოციალური დასწავლის თეორია და მიზნის მიღწევის თეორია – აქ აქცენტი კეთდება ადამიანის ბუნებაზე, ისწავლოს დაკვირვებით. მთავარ კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს ის, რომ ადამიანები და გარემო ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენენ. მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, ასევე თანატოლებზე დაკვირვებით. მოსწავლე მოტივირებულია, თუ არტიკულირებულია კონკრეტული მიზნები, რომლებსაც მასწავლებელი მასთან შეთანხმების საფუძველზე დასახავს. ამის მიღწევა მოსწავლისა და მასწავლებლის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველზეა შესაძლებელი. გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლის მიერ მიზნების დასახვა არ ხდება მასწავლებელთან, თანატოლებთან თუ მშობლებთან ინტერაქციის გარეშე.

თვით-ეფექტურობის თეორიისთვის ცენტრალური თემაა ინდივიდის რწმენა საკუთარი ეფექტურობისა, შესაბამისად, მისი მოტივაცია დამოკიდებულია წარმატების მიღწევის შესაძლებლობის აღქმაზე. მოსწავლეებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაჩენა შესაძლებელია ისეთი აქტივობების განხორციელებით, რომლებიც მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, პრობლემების გადაჭრას და სხვა.

ამ თეორიებს აერთიანებს მასწავლებლის როლის მნიშვნელობა მოსწავლის მოტივაციის ამაღლების საკითხში. ატრიბუციის თეორია ხაზს უსვამს მასწავლებლის მხრიდან მუდმივი უკუკავშირის მიცემას, მიღწევების კონტროლს და მათ სწორ ატრიბუციას. მოლოდინების თეორია მოტივაციის ამაღლების ფაქტორად განსაზღვრავს მასწავლებლის და თანატოლების მოლოდინის მნიშვნელობას მოსწავლის აკადემიური მიღწევებისათვის. მიზნის მიღწევის თეორია ყურადღებას ამახვილებს მასწავლებლის მიერ ნათელი და არტიკულირებული მიზნების დასახვაზე, რომლის მიღწევის მოტივაციაც უჩნდება მოსწავლეს. სოციალური დასწავლის თეორიაში მოსწავლე სწავლობს მასწავლებელზე დაკვირვებით, მის მოტივაციაზე გავლენას ახდენს მასწავლებელი, როგორც მოდელი, ასევე თანატოლი და სასწავლო გარემო. მოსწავლის მოტივაცია მაღალია თუ მას საკუთარი თავის ეფექტურობის რწმენა აქვს, რომელსაც უვითარებს მასწავლებელი (ოჯახთან ერთად).

ამ და სხვა თეორიებზე დაყრდნობით, უნდა ვაღიაროთ მასწავლებლის და სასწავლო გარემოს როლი აკადემიური წარმატების მისაღწევად მოსწავლის მოტივაციის ჩამოყალიბებაში. მრავალი კვლევა უსვამს ხაზს მასწავლებლის და მოსწავლის დამოკიდებულების მნიშვნელობას საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლეები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის მხარდაჭერის განცდა, უფრო მიდრეკილნი არიან მაღალი აკადემიური მოსწრებისა და წარმატებისკენ; მოსწავლეები, რომლებსაც მოსწონთ მასწავლებელი, უფრო კარგად სწავლობენ კონკრეტულ საგანს; მოსწავლეები, რომლებიც გრძნობენ მასწავლებლის მხრიდან პატივისცემას, უფრო ჩართულნი არიან საგაკვეთილო პროცესის მსვლელობაში და სხვ.

თეორიების აპლიკაციის მცდელობა

მოტივაცია არის სტიმული, ქმედება, წახალისება, ძალა, რომელიც იწვევს მოსწავლის სურვილს, იმოქმედოს – ისწავლოს, მიაღწიოს შედეგს. ამ მიმართულებით სპეციალური ლიტერატურა განიხილავს ფაქტორთა ერთობლიობას, რაც კომპლექსურად ახდენს გავლენას მოტივაციის ამაღლებაზე. ზემოთ ნახსენები თეორიების მტკიცებულებები რამდენიმე მსხვილ ფაქტორად შეიძლება დაჯგუფდეს, სადაც თავად მოსწავლეს, მასწავლებელს, შინაარსსა და გარემოს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ მოტივაციის ამაღლების საკითხში. შევხებით მოკლედ თითოეულ მათგანს და განვსაზღვროთ იმ სტრატეგიების ნაწილი, რომლებმაც შესაძლოა მოტივაცია აუმაღლოს მოსწავლეებს.

1. მოსწავლის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

დასავლური სკოლა განასხვავებს გარეგან და შინაგან მოტივაციებს. მნიშვნელოვანია, გავიაზროთ ორივე ტიპის მოტივაციის როლი და ეფექტი.

გარეგანი მოტივაციის შემთხვევაში მოსწავლე მიმართულია წახალისების მიღებისკენ, შინაგანი მოტივაციის დროს კი წახალისების, აღიარების ფაქტორი მინიმუმამდეა დაყვანილი და ფოკუსი ცნობისმოყვარეობაზე, გამოწვევებზე, სოციალურ ინტერაქციაზეა. მაშინ, როცა სასწავლო პროცესში მოტივაციის ნაკლებობა შეიმჩნევა, აუცილებელია, განისაზღვროს ის სტრატეგიები, რომლებიც მოსწავლეს შინაგან და გარეგან მოტივაციას აღუმრავს.

მოსწავლეთა გარეგან თუ შინაგან მოტივაციაზე გავლენას ახდენს ის სოციალური გარემო, საიდანაც ისინი მოდიან, ასევე – გარემო, სადაც უწევთ ყოფნა; მაგალითად, ის თუ რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის სასწავლო მასალა, როგორ სკოლაში დადიან, ოჯახის შემოსავალი, კონკრეტულ სფეროში დასაქმების სურვილი, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თანატოლებთან ურთიერთობის ფორმა და ხარისხი. მოსწავლის მოტივაციაზე ასევე გავლენას ახდენს ის, თუ რამდენად ჩართულია საგაკვეთილო პროცესის

დაგეგმვასა და მსვლელობაში. გრძელვადიანი საგაკვეთილო პროცესის გაცნობამ, მიზნების ნათლად დასახვამ შესაძლოა მოსწავლეებს მნიშვნელოვნად აუმაღლოს მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მოსწავლეს მოტივაციას აღუძრავს ისეთ საგაკვეთილო პროცესში მონაწილეობა, სადაც მასწავლებელი იცნობს და პატივს სცემს მას, აფასებს მის ინტერესებს. მოსწავლე სწავლობს უკეთესად, როცა მასწავლებელი მშვიდად (და არა სტრესულად) წარმართავს სასწავლო პროცესს, იზიარებს მოსწავლეთა შეხედულებებს, არ განასხვავებს დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეებს, არ მიუთითებს შეცდომებზე. საგაკვეთილო პროცესის წარმართვის დროს სასურველია, მასწავლებელმა გამოიყენოს სხვადასხვა ტექნიკა: თამაშები, სიტუაციური ანალიზი, ანეგდოტები, სადაც ჩართული იქნება თანაბრად ყველა მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს ხშირად სჭირდება მოსწავლის შეფასება, მნიშვნელოვანია, ამ პროცესმა არ გამოიწვიოს სტრესი და მოტივაციის კლება. სასურველია, შეფასება არ ეფუძნებოდეს მხოლოდ ტესტირებას და ის ატარებდეს განმავითარებელ ხასიათს. თუ მოსწავლეებს ნათლად მიეწოდებათ შეფასების მიზანი, ეცოდინებათ ის კრიტერიუმები, რომლების მიხედვითაც ფასდებათ, ისინი ნაკლებად სტრესულად აღიქვამენ ამ პროცესს. მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ ტესტირების დღე არ არის გადამწყვეტი მის ცხოვრებაში და შესაბამისად, მხოლოდ ამ დღეზე არ უნდა იყოს კონცენტრირებული.

მასწავლებელი მუდამ ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის ყურადღების მიპყრობაზე, რაც შესაძლებელია მისი ინტერესების გათვალისწინებით, ცნობისმოყვარეობის გაღვივებით, მისი ძლიერი მხარეების გამოყენებით საგაკვეთილო პროცესში. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია ენთუზიაზმით სავსე მასწავლებელი. მოსწავლე საგაკვეთილო თემის მნიშვნელობას იზიარებს, თუ მასწავლებელი ენთუზიაზმით უდგება მის განხილვას.

მასწავლებელი-დიპლომატი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებელი-საგნის მცოდნე. მოსწავლის მოტივირებისთვის აუცილებელია, მასწავლებელმა ააწყოს და დააბალანსოს ურთიერთობები მოსწავლეებთან. მოსწავლე, რომელიც გრძნობს მხარდაჭერას, ნდობას და დაფასებას, თავდაჯერებულია. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში მაღალი მოტივაციის ალბათობა უფრო მეტია. ხშირი უკუკავშირი, მოსწავლეებისადმი თანაბარი მიდგომა, აქცენტი მიღწევებზე, განმავითარებელი შეფასებები – ეს ის არასრული ჩამონათვალია, რასაც შეიძლება მასწავლებელმა მიმართოს.

3. შინაარსის ფაქტორი

ექვგარეშეა, რომ საგაკვეთილო პროცესის მიმართ მოსწავლის მოტივაციას აღძრავს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თემა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი. მასწავლებლის უპირველესი ამოცანაა, მოახდინოს სასწავლო მასალის შინაარსისა და მოსწავლის ინტერესების თანხვედრა. მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეს ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, რომელ მოსწავლესთან ერთად შეასრულოს ჯგუფური სამუშაო, რომელი წიგნი წაიკითხოს, როგორი ფორმით წარმოადგინოს დავალება და სხვ. მოსწავლის მოტივაციაზე შესაძლოა დადებითად იმოქმედოს შინაარსთან მიმართებაში არჩევანის არსებობამ.

შემოქმედებითობის და კრიტიკული აზროვნების განვითარებისკენ მიმართული სტრატეგიები იწვევს მოსწავლის ცნობისმოყვარეობის გაღვივებას, კითხვების დასმას, კვლევას, ცხოვრებისეულ მოვლენებთან თეორიის დაკავშირებას. პრობლემები, რომლების გადაჭრაც მოსწავლეს მოეთხოვება, შესაძლოა ზოგადსაკაცობრიო საკითხებს უკავშირდებოდეს. ამ შემთხვევაში ის მეტი პასუხისმგებლობით მიუდგება კვლევას. მოსწავლეს ყოველთვის სურს, იპოვოს, ამოხსნას, შესაბამისად, მოტივაცია, მიაღწიოს დასახულ მიზანს, მაღალია.

4. სასწავლო გარემოს ფაქტორი

მიუხედავად იმისა, რომ გარემოზე საუბრისას, პირველ რიგში, სკოლის, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, სასწავლო პროცესისათვის ინფრასტრუქტურული მზაობა გვახსენდება, ამაზე აქ არ

შევჩერდებით. აქცენტს უფრო საგაკვეთილო პროცესის გარემოზე გავაკეთებთ, რაშიც მასწავლებელს უდიდესი წვლილი მიუძღვის.

მოსწავლის მოტივაციის ასამაღლებლად საჭიროა წახალისება, მაგალითად, სკოლის ცხოვრებაში მისი ჩართვის გზით. მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ის გარკვეულ პოზიციას დაიკავებს კლასისა თუ სკოლის მართვაში. მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არა სტრესული გარემო, სადაც მოსწავლეები აკეთებენ ერთობლივ პროექტებს, ერთობლივად ასრულებენ დავალებებს. საგაკვეთილო პროცესში შესაძლებელია მრავლად იყოს გამოყენებული მაგალითები ყოველდღიური ცხოვრებიდან, ვინაიდან ითვლება, რომ ისტორიების ჩართვას საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა ყურადღების მოზიდვა და შესაბამისად, მოტივაციის ამაღლება შეუძლია. მოსწავლე მოტივირებულია, თუ მან ზუსტად იცის, რა მოლოდინი აქვს მასწავლებელს, რა არის მისი მიზანი და შეფასების ობიექტური კრიტერიუმი. შესაბამისად, მოსწავლე მოტივირებულია, მიაღწიოს მიზანს და მიიღოს ამისათვის შედეგი.

და ბოლოს, მხარდაჭერისკენ მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს. მოსწავლე მუდმივად იღებს უკუკავშირს მასწავლებლისგან და მისთვის ტესტირების ან გამოცდის დღე არ არის წარმატების/წარუმატებლობის განმსაზღვრელი.

კვლევის გეგმა

კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	
პრობლემის იდენტიფიცირება							
კვლევის ჯგუფის შექმნა							
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება							

კვლევის ჯგუფის წევრთა შეხვედრები							
კითხვარის შედგენა							
მონაცემთა ანალიზი							
ქმედების/ინტერვენციების განხილვა							
ქმედების/ინტერვენციების განხორციელება							
ქმედების/ინტერვენციების შედეგების ანალიზი							
პრეზენტაცია- კათედრის წევრებისთვის შედეგების გაცნობა							

კვლევის მიზანი და ამოცანები

პრობლემა: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შესწავლისას მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია
მიზანი: დავადგინოთ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე რა ფაქტორები ახდენენ გავლენას.
კვლევის ანალიზზე დაყრდნობით ახალი სტრატეგიების შემუშავება და დანერგვა
სიტუაციის გასაუმჯობესებლად

ამიტომ გადავწყვიტე აღნიშნული კვლევის ჩატარება მოცემულ კლასებში, ვაწყდები მოტივაციის პრობლემას, შევეცადე მათ გადასაჭრელად დიდი ძალისხმევით მოქმედება და კვლევის ჩატარება.

ჩვენი სკოლა მცირეკონტიგენტიანია. VII, VIII, IX, X, XI –კლასებში სწავლობენ 7

მოსწავლე.

ჩამოვყალიბე კვლევის მთავარი კითხვა:

რა მეთოდებითა და სტრატეგიებით შევძლებ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას?


კვლევის მთავარ კითხვაში აღნიშნული პრობლემების მიზეზების დადგენაში დაგვეხმარა შემდეგ ქვეკითხვებზე პასუხის გაცემა:

1. რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე?
2. რა ფაქტორები გამოიკვეთა ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მეთოდებით?
3. რა გავლენას მოახდენს გამოკვეთილი ფაქტორების გათვალისწინება მოტივაციის ამაღლებაზე?
4. რა გავლენას მოახდენს თანამშრომლობითი სწავლების მეთოდების გამოყენება მოტივაციაზე?
5. რა გავლენას მოახდენს სასწავლო რესურსების მიზნობრივი გამოყენება მოტივაციის ამაღლებაზე?

ინტერვენციის დაგეგმვამდე საჭირო იყო გამესაზღვრა რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციაზე.

ფაქტორები,

რა ფაქტორები ახდენენ გავლენას მოსწავლის მოტივაციაზე?



1. მოსწავლის ფაქტორი

მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოსწავლეები სკოლაში მოდიან სხვადასხვა სოციალური თუ კულტურული კონტექსტიდან, მათ აქვთ გარკვეული გამოცდილებები, სურვილები, მოთხოვნები და მოლოდინები.

სასურველია მოსწავლეთა საჭიროებები განვიხილოთ 5 ძირითადი მიმართულებით:

- ცოდნა: ინფორმაციის, თეორიების, პრინციპებისა და ცნებების კონცეპტუალური გაგება;
- დამოკიდებულებები: კონკრეტული ინფორმაციისა თუ სტრატეგიის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ წარმოდგენა;
- უნარები: ცოდნის გამოყენების სტრატეგიები და პროცესები;
- მისწრაფებები: კონკრეტულ საქმიანობასა თუ პროცესში ჩართვის სურვილი და შინაგანი მოტივაცია;
- ქცევა: ცოდნისა და უნარების მუდმივი გამოყენება.

2. მასწავლებლის ფაქტორი

მოსწავლეთა მამოტივირებელი შესაძლებელია იყოს მასწავლებლის მიერ კონკრეტული საგნის მაღალ დონეზე ფლობა. მოსწავლეს აქვს მოლოდინი, რომ საგაკვეთილო პროცესის დროს ის მოისმენს რაღაც ახალს, მიიღებს პასუხს კითხვებზე. ის უნდა ხედავდეს

მასწავლებლის მოტივაციას, გადასცეს მას ახალი ცოდნა.

მასწავლებელი ყოველთვის უნდა უსვამდეს თავს შეკითხვას: რა უნდა ვიცოდე, რისი უნდა მჯეროდეს, რისი გაკეთება უნდა შემემდლოს, რისი სურვილი უნდა მქონდეს და როგორ უნდა ვიქცეოდე, რათა დავეხმარო ჩემს მოსწავლეებს სასურველი სასწავლო მიზნის მიღწევაში?

3. შინაარსის ფაქტორი

საგაკვეთილო პროცესის მიმართ მოსწავლის მოტივაციას აღძრავს ის შინაარსი, რომლის მიწოდებასაც ვცდილობთ. თემა, რომელიც მას მიეწოდება, უნდა იყოს გასაგებად გადმოცემული, დროული და მისი ინტერესების შესაბამისი.

4. სასწავლო გარემოს ფაქტორი

მასწავლებელმა უნდა შექმნას თანამშრომლობითი, არა სტრესული გარემო. მხარდაჭერისკენ მიმართული საგაკვეთილო გარემო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც მოსწავლის მოტივაციის ზრდას უზრუნველყოფს.

დიდი მნიშვნელობა აქვს სასკოლო და საკლასო გარემოს მოწყობას. მაგალითად, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების კეთილმოწყობა და ცდებისთვის საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდისათვის. ასევე სასურველია საკვეთილო პროცესში აუდიოვიზუალური რესურსების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს.

ყველაზე არაკეთილმოწყობილი საკლასო ოთახიც კი შეიძლება მიმზიდველად ვაქციოთ ვიზუალური მასალის საშუალებით

5. **სწავლების მეთოდები.** მოსწავლეების სწავლისადმი ინტერესის ამაღლების მიზნით, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები და ინსტრუმენტები. ჩაატაროს ისეთი საკლასო აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობას, მოსწავლეთა ინტერაქციას, მისცეს მოსწავლეებს შესაძლებლობა იმოქმედონ საკუთარი ინტერესების მიხედვით, გააკეთონ არჩევანი. მასწავლებელმა მოსწავლის ინტერესების, მისწრაფებების და საჭიროებების გათვალისწინებით უნდა დაგეგმოს სასწავლო პროცესი.

5. **საგნობრივი სტანდარტი.** დღევანდელი სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელოები გადატვირთულია მრავალფეროვანი, ხშირად ძნელად აღსაქმელი მასალით. მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს მთავარი საკითხებისა და მისი შემადგენელი დეტალების გააზრებაში სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით.

6. **მშობელთა ჩართულობა** სასკოლო ცხოვრებაში.

სკოლის ცხოვრებაში მშობლების ჩართულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა წარმატებისთვის. სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურობა ამდიდრებს სკოლის კულტურას და ხელს უწყობს მის განვითარებას. უკეთესი შედეგების მისაღწევად სკოლა და მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს მშობლებთან აქტიური თანამშრომლობით.

ჩემს წინაშე დადგა ამოცანა: კოლეგებთან და მოსწავლეებთან დიალოგით გამერკვია, მათთვის პრიორიტეტული ფაქტორი, რომლის გამოყენებით საწყისი ეტაპისთვის შევძლებდი პრობლემაზე ზემოქმედებას.

მუშაობის აღწერა და მონაცემთა შეგროვების მეთოდები.

ამ თავში განხილულია მონაცემთა შეგროვების მეთოდები

კვლევის სანდოობის უზრუნველსაყოფად კვლევის პროცესში გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისობრივი მეთოდები. სამიზნე ჯგუფი VII, VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეები

თვისობრივი კვლევა:

- დიალოგი მოსწავლეებთან;
- ფოკუს -ჯგუფი, მასწავლებლებთან;
- დაკვირვება;

რაოდენობრივი

კვლევა

- ანკეტირება მასწავლებლებთან.
- ანკეტირება მოსწავლეებთან.

მოსწავლეებთან დიალოგის ჩატარების მიზანი იყო გამოგვეკვლია მოსწავლეთა შეხედულებები და მოსაზრებები აღნიშნული პრობლემის მიზეზებსა და დამლევის გზებზე. დიალოგის მეთოდი დაგვებმარა გაგვეგო მათი სწავლის სტილი და ინტელექტის სახე. ვინაიდან თითოეულ ბავშვს გააჩნია ინტელექტის რამდენიმე სახეობა, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი აცნობიერებდეს სხვადასხვა ადამიანის სხვადასხვა ხარისხით მიდრეკილებას სხვადასხვა ინტელექტისადმი, რომ მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების მრავალმხრივად გამოხატვის და განვითარების შესაძლებლობა მისცეს.

ფოკუს - ჯგუფი ჩავატარე საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებლებთან. მონაცემთა შეგროვების აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანი იყო მასწავლებელთა დამოკიდებულების შესწავლა საკვლევი თემატიკის გარშემო.

მასწავლებელთა ანკეტირებაში მონაწილეობას იღებდა საბუნებისმეტყველო კათედრის 3 მასწავლებელი. მოსწავლეთა ანკეტირებაში მონაწილეობა მიიღო VII, VIII, IX, X და XI კლასების 7-მა მოსწავლემ.

კვლევის პირველ ეტაპზე შემუშავებული ანკეტებით ჩატარდა კვლევა. კითხვარები შეივსო ანონიმურობის სრული დაცვით.

კვლევის მონაცემები

თვისობრივმა (დიალოგი მოსწავლეებთან) და რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა დაბალი მოტივაციის მიზეზები:

1. **ბავშვებისათვის მოსაწყენი სწავლის სტილი** (ზეპირი გამოკითხვა, ლექციური და ინდივიდუალური სწავლა). ეს გახდა ერთგვარი საფუძველი ინტერვენციისა, რომელიც განხორციელდა (თანამშრომლობითი სწავლა)

2. სასწავლო რესურსების იშვიათი გამოყენება გაკვეთილზე.

გამოკითხული 7 მოსწავლიდან კითხვაზე: რა სიხშირით იყენებს მასწავლებელი სასწავლო რესურსს? პასუხი იყო შემდეგი:

იშვიათად-4

მოსწავლე; ხშირად-2

მოსწავლე;

არ იყენებს- 1

მოსწავლე;

ეს მონაცემი გახდა მეორე ინტერვენციის განხორციელების საფუძველი. ანუ რაოდენობრივი კვლევის ერთ-ერთი დასკვნა, რომ მოსწავლეებს სურთ მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება გაკვეთილზე, შესაძლოა გახდეს პრობლემის მოგვარების ერთ- ერთი საშუალება.

მოსწავლეთა რჩევები მასწავლებელს:

- სწავლის მეთოდის შეცვლა;
- მოსწავლისათვის გასაგები ენით (მარტივი ენით) თემის გადმოცემა;
- მოსწავლეებთან პოზიტიური ურთიერთობების დამყარება;
- თვალსაჩინოებების გამოყენება;
- წყვილებში მუშაობის გამოყენება.

მოსწავლეებთან დიალოგით გამოიკვეთა, რომ მათ მოსწონთ ინოვაციური გაკვეთილები, რომელიც იშვიათად ტარდება.

**კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები:
დაბალი მოტივაციის მიზეზად დასახელდა:**

მასწავლებელთა ანკეტირება

მოსწავლეთა ანკეტირება

- | | |
|---|---------------------------------|
| • მწირი მატერიალური ბაზა; | საგნის სირთულე; |
| • სახელმძღვანელოები; | შესაბამისი კაბინეტების არ ქონა; |
| • შესაბამისი პროფესიების არაპოპულარობა; | ნაკლები პრაქტიკული |

აქტივობები; მოტივაციის ამაღლებაზე მოქმედი ფაქტორებიდან გამოიკვეთა:

მასწავლებელთა ანკეტირება

მოსწავლეთა ანკეტირება

- | | |
|-----------------------------|------------------------------------|
| • მასწავლებლის ფაქტორი; | სახალისო - შემეცნებითი აქტივობები; |
| • სასწავლო რესურსები; | თანამშრომლობითი სწავლება; |
| • თანამშრომლობითი სწავლება; | თვალსაჩინოებათა მრავალფეროვნება; |

ყველა მასწავლებელმა ხაზგასმით აღნიშნა მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობა (ეს შეიძლება იყოს ახალი კვლევის თემა);

მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა ფიზიკისა და ქიმის კაბინეტის აუცილებლობა.

დასკვნა: ჩატარებული თვისებრივი კვლევა გვადლევს იმის საშუალებას, რომ ვიმსჯელოთ იმ მიზეზებზე, რაც აქვეითებს მოსწავლეების სწავლისადმი მოტივაციას. აღმოჩნდა, რომ მოსწავლეების მიერ საგნისადმი ინტერესის დაკარგვა ძირითადად გამოწვეულია იმით,

რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნები გართულდა ასაკის შესაბამისად და მოსწავლეებს უჭირთ მისი დაძლევა. შემდგომ მიზეზად დასახელდა, რომ გაკვეთილზე ნაკლებად გამოიყენება თვალსაჩინოება და უჭირთ მასალის გაგება და ათვისება. ასევე დაასახელეს სასწავლო აქტივობებში ნაკლებად ჩართულობა და გაკვეთილის მიმდინარეობის ერთფეროვნება.

ქმედების/ინტერვენციის განხორციელება

მსჯელობის და ჩატარებული ანკეტირების ანალიზის შედეგად გამოვყავით ის ფაქტორები, რომელთა გამოყენებითაც ჩვენ შეგვიძლია მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა:

1. თანამშრომლობითი სწავლების ფორმების აქტიური გამოყენება. (პროექტებით სწავლება; სახალისო-შემეცნებითი აქტივობები; ჯგუფური მუშაობები);
2. მოსწავლეთა ჩართულობით სასწავლო რესურსების მოძიება და შექმნა;
3. სასწავლო რესურსების აქტიური გამოყენება სასწავლო პროცესებში.

კვლევის პროცესში მიღებული ინფორმაციის და მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შევიმუშავე ინტერვენციის სამოქმედო გეგმა, რომელიც ეტაპებად განხორციელდა.

ქმედება/ინტერვენცია 1

პირველ ეტაპზე საჭიროდ ჩავთვალე ჯგუფური სამუშაოს დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ძირითადი პრინციპების გათვალისწინება ჩემს პრაქტიკაში. (ამ მიმართულებით ჩემს ცოდნას ჭირდებოდა განახლება.) გავიაზრე და შემდეგ გაკვეთილებზე გამოვიყენე ტრენინგზე(ლიდერობის აკადემია 2-3) მიღებული ცოდნა. **გამოგვეთე :**

ა) თანამშრომლობითი სწავლის უპირატესობები: მოსწავლისათვის:

- **სოციალური** განვითარება - ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, განსხვავებული აზრის მოსმენა და მიღება, გუნდური პასუხისმგებლობის გაზიარება,
- **პიროვნული** განვითარება - ანალიტიკურ-კრიტიკული აზროვნების უნარების, აგრეთვე თვითმართვის უნარების (ქცევისა და ემოციების მართვა) განვითარება.
- **საგნობრივი** ცოდნის შეძენა ურთიერთსწავლების რეჟიმში, რაც საკმაოდ ეფექტიან მეთოდად ითვლება.

მასწავლებლისთვის:

- შედეგზე გასვლა უფრო მოკლე დროში;
- ნაკლები დისციპლინის პრობლემები და მაღალი აკადემიური შედეგები კლასში .

ბ) თანამშრომლობითი სწავლის სირთულები

- მეტი დრო, მეტი შრომა, წინასწარი დაგეგმვა;
- სპეციფიური დავალებების შექმნისა და შერჩევის საჭიროება.

გ) თანამშრომლობითი სწავლის სირთულები და გადაჭრის გზები:

- ჯგუფური მუშაობის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ეტაპების ცოდნა;

- ჯგუფური მუშაობისათვის დავალებების შექმნა და/ან შერჩევა;
- მოსწავლეებისთვის ჯგუფური მუშაობის ნორმების გაცნობა და ახსნა; ჯგუფური მუშაობის ქცევების გამომუშავება, მათი ყოველდღიურ რუტინად გადაქცევა;
- მუდმივი თვითშეფასება და რეფლექსია მასწავლებლის მიერ;
- შეფასების რუბრიკების შექმნა;

მოსწავლეებთან დიალოგმა აჩვენა, რომ მოზარდებს სურდათ სასწავლო გარემოს შეცვლა, კერძოდ, მერხების განლაგებისა და სწავლების მეთოდების, რომლებიც მუდამ მონოტონური და მოსაწყენი იყო. ამიტომ დაიგეგმა და ჩატარდა გაკვეთილები, რომლის დროს ძირითადად ჯგუფებში მიმდინარეობდა მუშაობა. კლასში მერხთა განლაგების პერიოდულმა ცვლილებამ მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის მოქნილი კომუნიკაცია დაამყარა.

ჩვენთვის საინტერესო იყო ცალკეული სასწავლო მეთოდის გამოყენება რა ცვლილებას გამოიწვევდა. გამოვცადეთ კონკრეტული სასწავლო მეთოდები:

- დისკუსია;
 - დაკარგული სიტყვები;
 - ლექცია პრესკონფერენცია
 - გაკვეთილის შეჯამება
- ამ მეთოდების გამოყენებას ვაკვირდებოდი და ვაკეთებდი ჩანიშვნებს:
- მოსწავლეთა ჩართულობაზე,
 - თანამშრომლობითი კულტურის განვითარებაზე;
 - შედეგზე.

მეთოდები	შედეგები
დისკუსია	<p>მოხდა დისკუსიის წარმართვა და დასკვნების შეჯამება:</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეები წახალისდნენ, რათა მათ გამოთქვეს თავიანთი იდეების გამამყარებელი არგუმენტები; • ჩუმ/მორცხვ მოსწავლეს სპეციფიკური დავალება მიეცა, რამაც ხელი შეუწყო მის მონაწილეობას, ჩართვას დისკუსიაში; <p>მოხდა ისეთი მოსწავლის შეზღუდვა, რომელიც სხვას არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას; წარიმართა მოსწავლეების იდეების განმარტება და მოსწავლეებისაგან დამატებითი კომენტარების მოთხოვნა.</p>
დაკარგული სიტყვები	<p>.მოსწავლეებს შევთავაზე ტექსტი რომელშიც გამოტოვებულია სიტყვები ისინი ,,“ ,იძულებულნი არაინ წაიკითხონ ტექსტი დაკვირვებით და შეავსონ გამოტოვებული</p>

	<p>.ადგილები • .მუშაობენ ინდივიდუალურად • .შემდეგ წყვილებიან და განიხილავენ ერთმანეთის ნამუშევრებს აქ დაგროვდა , .სხვადასხვა ვერსია მათი პასუხებისა. განიხილავენ საინტერესო ფორმებს მსჯელობენ რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც ეს სიტყვები. ვაჩვენებ მონიტორზე სწორ პასუხებს. ამ მეთოდით მოხდა ცოდნის გააქტიურება, გაგება, გააზრება, ჩართულობა და სხვა...</p>
<p>ლექცია პრესკონფერენცია</p>	<p>წინასწარ დავუსახელე ლექციის .თემა თითოეულმა მოსწავლემ წუთის განმავლობაში უნდა მოიფიქროს ამ ,თემის შესახებ მისთვის საინტერესო კითხვები დაწეროს .სტიკერებზე და გადმომცეს მასწავლებელს • .მე ვახარისხებ კითხვებს და ვიწყებ ლექციას • ,ეს არ იქნება პასუხები ცალკეულ კითხვებზე არამედ თემის გაშლა. გამოვლინდა დადებითი მხარეები , დადგინდა მოსწავლეთა წინარე ცოდნა, მოხდა ჩართულობა და გაღვივდა ინტერესი.</p>
<p>შეჯამება</p>	<p>ამ მეთოდის გამოყენებით მასწავლებლები შევძლებთ .ეფექტურად დავგვემოთ გაკვეთილები • .გავამრავალფეროვნოთ სწავლების პროცესი • ,ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას -ცოდნის შეძენასა და სხვადასხვა უნარ ჩვევის .ჩამოყალიბებას.</p>

გავაკეთეთ დასკვნა:

- თანამშრომლობითი სწავლა ნაკლებად სტრესულია, რადგან იძლევა პასუხისმგებლობის გაზიარების, კომუნიკაციის საჭიროების დაკმაყოფილების, პასუხის გადამოწმების საშუალებას;
- თანამშრომლობითი სწავლა აკადემიური თვალსაზრისითაც მომგებიანია - განაპირობებს დავალების სწორად და სრულყოფილად შესრულების მეტ ალბათობას.
- თანამშრომლობითი სწავლა ზოგიერთ შემთხვევაში წარმოშობს სირთულეებსაც, მაგრამ მათი გადალახვა ავითარებს კომუნიკაციის უნარებს;

ქმედება/ინტერვენცია 2

პროექტი. რატომ?

აქტიურობა სასკოლო ასაკის მოსწავლეთა ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია. ამ ასაკში ბავშვებისათვის ბევრად უფრო ბუნებრივი და სასიამოვნოა რაიმე საქმიანობაში აქტიურად ჩართვა, ვიდრე გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და მოსმენა. გაკვეთილის „გააქტიურება“ ბევრი არაერთგვაროვანი სტრატეგიით შეიძლება. ერთ-ერთი სახალისო და სასარგებლო მეთოდია პროექტები. მოსწავლეები მუდმივად გვისვამენ შეკითხვებს: რატომ გვასწავლით ამა თუ იმ საკითხს? რაში გამომადგება ეს ცოდნა? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემაში სასწავლო პროექტების დაგეგმვა და მასში მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვა გვეხმარება.

პროექტზე მუშაობა ამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და იწვევს მათში შემეცნებით ინტერესს,

1. პროექტზე დაფუძნებული სწავლის უპირატესობანი:

პროექტზე დაფუძნებული სწავლება

- ამყარებს კავშირებს საკლასო გარემოს გარეთ
- მიმართულია რეალურ ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე
- ავითარებს რეალური ვითარებებთან დაკავშირებულ უნარებს. მაგალითად:
 - სხვებთან წარმატებით თანამშრომლობის;
 - გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების;
 - ინიციატივის გამოჩენის;
 - კომპლექსური პრობლემების გადაჭრის.

პროექტზე დაფუძნებული სწავლება

ახალისებს:

- ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევებს;
- კოგნიტურ უნარებს;
- საკუთარი თავის მართვის უნარებს;
- პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას;

ხდება მოსწავლეთა ფოკუსის გადანაცვლება

- მითითებების შესრულებისაგან- დამოუკიდებლად წარმართული სასწავლო აქტივობებისაკენ;
- დამახსოვრებისა და გამეორებისაგან- აღმოჩენის, ინტეგრირების და პრეზენტირებისაკენ
- მოსმენისა და რეაგირებისაგან- კომუნიკაციისა და პასუხისმგებლობის აღებისაკენ .

რა უნდა იყოს ბიოლოგიის გაკვეთილზე ექსპერიმენტის ჩატარებაზე უკეთესი, ის ეხმარება მოსწავლეს თემის გააზრებაში, განმტკიცებაში, დასკვნების გამოტანასა და დამახსოვრებაში. ექსპერიმენტის ჩატარებისას უვითარდებათ სხვადასხვა უნარები:

- სამუშაოს დაგეგმვის;
- ინსტრუქციის გააზრების;
- ექსპერიმენტის ჩატარების;
- ცდის შედეგების ანალიზის;
- დასკვნების გამოტანის;
- თანამშრომლობის.

ჯგუფში სხვადასხვა შესაძლებლობების მოსწავლეებია, ყველა მონახავს თავის შესაბამის აქტივობას, რაც გაზრდის თითოეულის ჩართულობას პროცესში და მათი შესაძლებლობების რეალიზებას, შესაბამისად მათი მოტივაციის გაზრდას. იგი ხდება თავდაჯერებული, ხალისიანი, საგაკვეთილო პროცესისადმი პოზიტიურად განწყობილი, უფრო ინტერესით ელოდება მომდევნო გაკვეთილს, განსაკუთრებით მაშინ თუ მას წავახალისებთ.

შეიქმნა დაინტერესებულ მოსწავლეთა ჯგუფი (ორი მოსწავლე X კლასიდან- რუსუდან ზოიძე და გიორგი ბერიძე და ერთი მოსწავლე XI კლასიდან-ლალი ტაკიძე,) დავიწყეთ კაბინეტის მოწესრიგება. კლასელთა აღნიშნულმა 3 კაციანმა ჯგუფმა განახორციელა პროექტი „გავამდიდროთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საგნების ლაბორატორია“, რომლის ძირითადი მიზანი იყო რეაქტივების შექმნა, და თვალსაჩინოებების დამზადება.

პროექტების გამარჯვებისა და საჭირო რესურსების შექმნის შემდეგ დაიგეგმა პროექტების პრეზენტაცია.

მათემატიკის ჯგუფის წევრებმა შეძენილი წიგნებიდან შეარჩიეს ლოგიკური ამოცანები და ჩაატარეს შემეცნებითი ინტელექტუალური შეჯიბრი „ცოდნა, ლოგიკა, ინტელექტი“. კონკურსში მონაწილეობას იღებდა VII, VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეები.

ქიმიის ჯგუფის წევრებმა ჩაატარეს ინტელექტუალური თამაში: „ჩვენ ვსწავლობთ ბუნებისმეტყველებას“ (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია). თამაშში ჩართული იყო VII, VIII, IX, X, XI კლასის მოსწავლეები

აღნიშნული ღონისძიებები გამოირჩეოდა მაღალი ჩართულობით. ქიმიის

ჯგუფმა ჩაატარა საჩვენებელი ცდები.

განსაკუთრებით დროული იყო ქიმიის კაბინეტისთვის განკუთვნილი შენაძენი, რადგან VII, VIII, IX, X, XI კლასები გადიოდა ისეთ თემებს, რომელთა განმტკიცება ექსპერიმენტით აუცილებელი და შედეგიანია.

- პოზიტიური გარემო (ყოველვის მოწესრიგებული კაბინეტი, ავეჯი საჭიროების მიხედვით დალაგებული, საჭირო ცხრილები და ტაბულები...)
- მოტივირებული მოსწავლეები;
- გამდიდრებული კაბინეტი;
- მოსწავლეთა ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში და მათი წახალისება

გახდა ის ფაქტორები, რომელმაც გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია ქიმიის სწავლისადმი. კაბინეტისკენ მოსწავლეები მოდიან ხალისით, მოლოდინით და გაკვეთილის დასრულების შემდეგ კმაყოფილები გადიან საკლასო ოთახებში.

ქიმიის სწავლისადმი მოტივაციის ამაღლების დამადასტურებელია ისიც, რომ როცა X კლასში მოსწავლეებმა დაგეგმა პროექტის განხორციელება და მოსინჯა ნიადაგი, როგორი იქნებოდა ჩართულობა, შედეგი აღმოჩნდა სასიამოვნო-ყველამ გამოთქვა სურვილი.

განვახორციელეთ პროექტი „ქიმიური ელემენტები და მათი მნიშვნელოვანი ნაერთები“ ამ პროექტის ფარგლებში მოსწავლეები გაეცნენ ქიმიური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სხვადასხვა დარგებს და მათ მნიშვნელობას. მნიშვნელოვანი იყო ის რომ მოსწავლეებს მიეცათ არჩევანის შესაძლებლობა. ყველამ თავისით აირჩია სასურველი ქიმიური ელემენტი და მისი ნაერთები.

ინტერვენციის მსვლელობისას მოსწავლეთა მიმართ გამოყენებულ იქნა დაკვირვების მეთოდი, არ კონტროლდებოდნენ და არ ვერეოდით მათ კომპეტენციასა და მუშაობაში. ინტერვენციის პირველივე დღიდან მოსწავლეებს მიეცათ ინსტრუქცია, რომლის თანახმად მათ სრული თავისუფლება მიენიჭათ თანამშრომლობით მუშაობაში.

დასკვნა:

მოსწავლეები უფრო თავდაჯერებულნი, აქტიურები და ხალისიანები გახდნენ, მოეხსნათ სტრესი რადგან პასუხიმგებლობა გადანაწილდა ჯგუფის წევრებს შორის.

თანამშრომლობითი სწავლის გამოყენება ძალიან მნიშვნელოვანი არის იმიტომაც, რომ

ის არის ერთგვარი მეთოდი, სადაც შერწყმულია კოგნიტური და სოციალური ასპექტები.

ქმედება/ინტერვენცია 3

მოპოვებული და დამზადებული რესურსების გამოყენება. რატომ

არის სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანი?

- რესურსი ეხმარება მოსწავლეს გაკვეთილის უკეთ გაგებაში.
- სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო.
- ხდება მოსწავლეთა მეტი ჩართულობა.
- იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია.
- ხდება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება.

შემენილი ქიმიური რეაქტივებით IX კლასში არაორგანულ ნაერთთა კლასების ცალკეულ გაკვეთილებზე დაიგეგმა თეორიული მასალის შესაბამისი ცდებით განმტკიცება, იგივე მოხდა X კლასში ელექტროლიტური დისოციაციის თეორიის შესწავლისას. გაკვეთილებზე ექსპერიმენტის შემოტანამ გამოიწვია დაინტერესების ამაღლება, ხალისით ჩართვა გაკვეთილებში და ზოგადად მოტივაციის ამაღლება.

შემენილი რესურსებით მოხდა მოსწავლეების მიერ სივრცითი ფიგურების მაკეტების და შლილების დამზადება, რამაც გაუადვილა მოსწავლეებს სტერეომეტრიული ამოცანების დაძლევა და ზოგადად სივრცული წარმოდგენები ადვილად გასაგები გახდა. მოსწავლეების მიერ დამზადდა სხვადასხვა თემასთან დაკავშირებული პლაკატები და სქემები.

დასკვნა:

საგაკვეთილო პროცესში რესურსების გამოყენებამ შექმნა ფიზიკურად კომფორტული გარემო:

რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომი გახდა ყველა მოსწავლისთვის; შეიქმნა

მოლაპარაკე კედლები;

დამზადდა სხვადასხვა ფიგურის მაკეტები.

შესაძლებელი გახდა მიზნობრივი ექსპერიმენტული სამუშაოების დაგეგმვა და განხორციელება.

მოსწავლეებში ამაღლდა რესურსის დაცვის კულტურა.(დააფასეს საკუთარი შრომა, ისწავლიან სხვისი შრომის დაფასებასაც.)

ინტერვენციის შედეგი

დაკვირვებებმა ცხადყო რომ ინტერვენცია იყო ეფექტიანი: თანამშრომლობითმა სწავლებამ მოახდინა მოსწავლეთა გააქტიურება, ხოლო რესურსების გამოყენებამ სასწავლო პროცესის გააუმჯობესება.

დასკვნა და რეკომენდაციები

დასკვნის სახით კვლევის შედეგები შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ:

- თანამშრომლობითი სწავლება იწვევს ცვლილებებს მოსწავლეთა მოტივაციაში;
- თანამშრომლობითი სწავლება ეფექტიანი სტრატეგიაა;
- თანამშრომლობითი სწავლების დანერგვით შესაძლებელია საგნის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების შეცვლა პოზიტიურით.
- კლასის ფიზიკური გარემოს ცვლილება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლის განწყობასა და ჩართულობაზე.
- გამოიკვეთა, რომ საჭიროა მეტი თვალსაჩინოებების გამოყენება სასწავლო პროცესში. უნმიშვნელოვანესია საგაკვეთილო თემატიკის შესაბამისი სასწავლო ვიზუალური მასალით უზრუნველყოფა და პედაგოგთა მხრიდან მათი გამოყენება.
- სასურველია მეტი ყურადღება მივაქციოთ თანამშრომლობითი გარემოს შექმნას; მოსწავლეებს შორის კომუნიკაციის, დისკუსიის, ჯგუფური მუშაობის სტრატეგიებს.
- კვლევისას გამოიკვეთა სწავლების მრავალფეროვნების და სასწავლო რესურსების მნიშვნელობა სიღრმისეული სწავლის მოტივაციისათვის.

რეკომენდაცია შემდეგი კვლევისთვის:

კვლევების გაგრძელება საინტერესო იქნებოდა შემდეგი კუთხით: მშობელთა ჩართულობის გავლენა მოსწავლეთა მოტივაციაზე. სასურველია შესწავლილ იქნას თანამშრომლობითი სწავლების გავლენა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://mastsavlebeli.ge/?p=1982>
2. სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება . პრაქტიკული გზამკვლევი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2014წ.
3. პრაქტიკული კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება .(სატრენინგო მასალა. ტრენერი: ნინო ბეგლარაშვილი)მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2016წ.
4. სწავლება და შეფასება-საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2008წ (გვ.3-25)
5. სტრატეგიები სწავლის მოტივაციის გასაზრდელად WWW.mastsavlebeli.ge 4 დეკემბერი 2015წ გვატა ბერძენიშვილი
6. რა ფაქტორები უწყობენ ხელს სწავლის მოტივაციის ამაღლებას. WWW.mastsavlebeli.ge 29 ოქტომბერი 2013წ თეო ჭყოიძე
7. როგორ ავამაღლოთ მოსწავლეთა სასწავლო მოტივაცია . WWW.mastsavlebeli.ge13 აგვისტო 2013 ქეთევან ოსიაშვილი
8. ეფექტური სწავლება სკოლაში რობერტ ჯ. მარზანო დებრა ჯ. ფიქერინგი

დანართი

პედაგოგთა კითხვარი

მოგესალმებით!

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლის პედაგოგი მათა ჭალაიძე ვატარებ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევას საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიტივაციის შესახებ.

თქვენი მონაწილეობა აუცილებელია კვლევის წარმატებისთვის.

თქვენგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ანონიმური.

გმადლობთ თანამშრომლობისთვის

1. როგორ ფიქრობთ რა არის მიზეზი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაბალი მოტივაციისა და შესაბამისად მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაბალი შედეგებისა ?

ა)სახელმძღვანელოები

ბ)სკოლის მატერიალური ბაზა

გ)საგნის სირთულე

დ) შესაბამისი პროფესიების დაბალი პოპულარობა

2. თქვენი აზრით რატომ არ ირჩევენ მოსწავლეები იმ პროფესიებს, რომელთა დაუფლება დაკავშირებულია აღნიშნული საგნების სწავლებასთან?

ა) საგნის სირთულე

ბ) დაბალი ანაზღაურება

გ)არაპოპულარობა

3. თქვენი გამოცდილებით რა ფაქტორები უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და შესაბამისად საბოლოო შედეგის გაუმჯობესებას?

ა)მასწავლებლის ფაქტორი

ბ)რესურსები

გ)კონსტრუქტივისტული გაკვეთილები

დ) თანამშრომლობითი სწავლება

4. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით როდისაა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესებში?

ა) დიფერენცირებული სწავლებისას

ბ) თანამშრომლობითი სწავლებისას

გ) კონკურენტული სწავლებისას

5. თქვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული პრობლემა არის თუ არა დაკავშირებული საბაზო საფეხურზე სწავლებისას მშობელთა დაბალ ჩართულობაზე?

ა) კი ბ)

არა

გ) ნაწილობრივ

6. რა ერთობლივი ღონისძიებები, აქტივობები შეუწყობს ხელს აღნიშნული პრობლემის დაძლევას?

მონაცემთა ანალიზი კითხვარი პედაგოგებისთვის

კითხვა1. როგორ ფიქრობთ რა არის მიზეზი საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას დაბალი მოტივაციისა და შესაბამისად მთელი რესპუბლიკის მასშტაბით დაბალი შედეგებისა ?


	1	2	3
სახელმძღვანელოები	0	1	0
სკოლის მატერიალური ბაზა	1	0	1
საგნის სირთულე	0	1	0
შესაბამისი პროფესიების დაბალი პოპულარობა	1	0	0



კითხვა 2

თქვენი აზრით რატომ არ ირჩევენ მოსწავლეები იმ პროფესიებს, რომელთა დაუფლება დაკავშირებულია აღნიშნული საგნების სწავლებასთან?

	1	2	3
საგნის სირთულე	0	1	0
დაბალი ანაზღაურება	1	1	0
არაპოპულარობა	1	1	1




კითხვა 3

თქვენი გამოცდილებით რა ფაქტორები უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და შესაბამისად საბოლოო შედეგის გაუმჯობესებას?

- ა)მასწავლებლის ფაქტორი
- ბ)სასწავლო რესურსები
- გ)კონსტრუქტივისტული გაკვეთილები
- დ) თანამშრომლობითი სწავლება

	1	2	3
მასწავლებლის ფაქტორი	1	0	0
სასწავლო რესურსები	0	1	0
კონსტრუქტივისტული გაკვეთილები	0	0	1
თანამშრომლობითი სწავლება	1	1	0



კითხვა 4


თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით როდისაა მოსწავლეთა მაღალი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესებში?

ა) დიფერენცირებული სწავლებისას

ბ) თანამშრომლობითი სწავლებისას

გ) კონკურენტული სწავლებისას

	1	2	3
დიფერენცირებული სწავლებისას	1	1	0
თანამშრომლობითი სწავლებისას	0	1	0
კონკურენტული სწავლებისას	0	0	1




კითხვა 5

1. თქვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული პრობლემა არის თუ არა დაკავშირებული საბაზო საფეხურზე სწავლებისას მშობელთა დაბალ ჩართულობაზე?

ა) კი

ბ) არა

გ) ნაწილობრივ



მოსწავლეთა კითხვარი

მოგესალმებით!

შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბრილის საჯარო სკოლის პედაგოგი მათა ჭაღალიძე ვატარებ პედაგოგიურ პრაქტიკულ კვლევას საბუნებისმეტყველო საგნებში მოსწავლეთა მიტივაციის შესახებ.

თქვენი მონაწილეობა აუცილებელია კვლევის წარმატებისთვის.

თქვენგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ანონიმური.

გმადლობთ თანამშრომლობისთვის

1. ჩამოთვლილთაგან რომელი საგნის სწავლა გიმნელდებათ ყველაზე მეტად?

ა) ფიზიკა ბ) ქიმია გ) ბიოლოგია

2. როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას დასახელებულ საგნებში?

ა) სუსტი ბ) საშუალო გ) კარგი დ) ძალიან კარგი

3. მოგწონთ თუ არა დავალების შესრულებისას არჩევანის შესაძლებლობა?

ა) კი ბ) არა

4. რა ფაქტორები გეხმარებათ აღნიშნული საგნების უკეთ დაუფლებაში?

ა) რესურსები ბ) პროექტები გ) სახალისო შემეცნებითი აქტივობები

5. სურვილი გაქვთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ ჩამოთვლილის საგნების სწავლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში?

ა) კი ბ) არა

6. გიმუშავით თუ არა სასწავლო პროექტებზე

ა) კი ბ) არა

7. რა სიხშირით იყენებს მასწავლებელი გაკვეთილზე სასწავლო რესურსს?

ა) ხშირად ბ) იშვიათად გ) არ იყენებს

8. თქვენი აზრით ზემოთ აღნიშნული საგნების სწავლა მოითხოვს თუ არა თქვენგან განსაკუთრებულ ნიჭსა და უნარებს?

ა) კი

ბ) არა


9. რის შეცვლას ისურვებდით აღნიშნული საგნების სწავლებისას?

მოსწავლეთა გამოკითხვის ანალიზი

ჩამოთვლილთაგან რომელი საგნის სწავლა გიმნელებათ ყველაზე მეტად?

ა) ფიზიკა ბ) ქიმია გ) ბიოლოგია


საგანი	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია
რაოდენობა	6	4	0



2. როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას დასახელებულ საგნებში?

ა) სუსტი ბ) საშუალო გ) კარგი დ) ძალიან კარგი

სუსტი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
0	6	1	0




მოგწონთ თუ არა დავალების შესრულებისას არჩევანის შესაძლებლობა? ა) კი

6

ბ) არა 1

მოგწონთ თუ არა დავალების შესრულებისას
არჩევანის შესაძლებლობა?




■ კი ■ არა ■

4. რა ფაქტორები გეხმარებათ აღნიშნული საგნების უკეთ დაუფლებაში?

ა) რესურსები ბ) პროექტები გ) სახალისო შემეცნებითი აქტივობები

რესურსები	პროექტები	სახალისო შემეცნებითი აქტივობები
3	3	7

რა ფაქტორები გეხმარებათ აღნიშნული საგნების უკეთ დაუფლებაში



■ რესურსები ■ პროექტები ■ სახალისო შემეცნებითი აქტივობები ■


5. სურვილი გაქვთ თუ არა მონაწილეობა მიიღოთ ჩამოთვლილის საგნების სწავლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობაში?

- ა) კი -4 ბ) არა -5

6. გიმუშავიათ თუ არა სასწავლო პროექტებზე

- ა) კი -3 ბ) არა -4

გიმუშავიათ თუ არა სასწავლო პროექტებზე



■ კი ■ არა ■

9) რის შეცვლას ისურვებდით აღნიშნული საგნების სწავლებისას?

მოსწავლეების პასუხები კითხვაზე:

1. არაფრის
2. უფრო ხშირად ჩატარდეს საჩვენებელი გაკვეთილები
3. ბიოლოგიაში მოიმატოს საგაკვეთილო საათებმა.
4. სახელმძღვანელოებს შეცვლიდნენ
5. ისურვებდნენ კვალიფიციურ მასწავლებლებს
6. მასწავლებლის სწავლების მეთოდების შეცვლას